ხაშურის მოამბე

№10(334) 21 მარტი, ორშაბათი, 2022 წელი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

ამჯერად, შეხვედრები ფლევის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში გაიმართა - დიდ და პატარა ფლევში, ნაცარგორასა და ტკოცაში ადგილობრივებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წამომადგენლები შეხვდნენ.

კრებებზე მოსახლეობამ სოფლის საჭიროებებზე იმსჯელა. პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: სოფელ ნაცარგორაში გზები მოიხრეშება და დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორების, გარე გამოყენების ტრენაჟორების დამონტაჟება გადაწყდა დიდ ფლევშიც, პატარა ფლევსა და ტკოცაში კი პრიორიტეტი სასაფლაოების შემოღობვას მიენიჭა.

„მნიშვნელოვანია, რომ სოფელ ფლევიდან სოფელ ვაყამდე გზის რეაბილიტაცია უახლოეს პერიოდში დაიწყება. სამუშაოებისთვის 2 652 429 ლარია გამოყოფილი. პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს. გარდა ამისა, განხილულ იქნა სხვა საკითხებიც, რაც სოფლის მოსახლეობას აწუხებს და ვეცდებით, შესაძლებლობის ფარგლებში, მოვაგვაროთ“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შეხვედრებისას.

ამის შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვიშხეთის, ტაშისკრის, მონასტრის, ბეღლითის, ბულბულისციხის, სათივისა და სარმანიშვილისკარის მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრებს დაესწრნენ საკრებულოს წევრები მაკა დიდებულიძე და მუხრან ჩადუნელი, მერის

წარმომადგენელი ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მალხაზ ღონღაძე.

ადგილობრივებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთობლივად იმსჯელეს პრიორიტეტულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზები დასახეს.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში გამართულ კრებებზე მოსახლეობამ შემდეგი პრიორიტეტები გამოკვეთა: ქვიშხეთში სანიაღვრე სისტემის და ლაცაბიძეების უბანში გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია გადაწყდა, ტაშისკარსა და სათივეში მოსახლეობამ არჩევანი თავშეყრის ღია სივრცის მოწყობაზე შეაჩერა, მონასტერში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას მიენიჭა პრიორიტეტი, ბეღლითში ბეტონის გზა დასრულდება, ხოლო სარმანიშვილისკარში წყლის სისტემა მოეწყობა.

შემდეგ შეხვედრები ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გაგრძელდა.

ტეზერში, ყიფიანთუბანში, სავანისუბანში და რუსაანთუბანში ადგილობრივებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთობლივად იმსჯელეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით„ განსახორციელებელ პროექტებზე და პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: ტეზერში სასმელი წყლის სისტემის სათავე ნაგებობა მოეწყობა,

ყიფიანთუბანში სასოფლო გზები მოწესრიგდება, სავანისუბანში სოფლის გზების მოწესრიგებასთან ერთად, სასაფლაო შემოიღობება, რუსაანთუბანში ბეტონის გზა მოეწყობა.

„გარდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი

პროექტებისა, შევისწავლეთ საჭიროებები, რაც სოფლებისთვის მნიშვნელოვანია და ვეცდებით, შესაძლებლობის ფარგლებში, ეს საკითხები დროულად მოვაგვაროთ. მნიშვნელოვანია, რომ ვიწყებთ სოფელ ტეზერში გზების რეაბილიტაციას, რისთვისაც 1 394 732 ლარია გამოყოფილი, პროექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებისას.

მერთან ერთად, მოსახლეობას ხვდებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ნოდარ ლომიძე, ცოტნე ნოზაძე, საკრებულოს წევრი მუხრან ჩადუნელი, მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი და ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი მალხაზ ღონღაძე.

სოფლის საჭიროებებზე იმსჯელეს აგრეთვე ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ.

პრიორიტეტები ასე გადანაწილდა:

ცხრამუხა - სკვერისა და მოსაცდელების მოწყობა;

ჯვართმუხა - გზის მოხრეშვა;

ქაშვეთი - გზის მოხრეშვა;

დამჩხეულა - გზის მოხრეშვა;

თაგვეთი -წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

რბონა - გზის მოხრეშვა;

კოდისწყარო - წყლის სისტემის მოწყობა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება და ყველა სოფელს მოიცავს.

ხაშურის რაიონის პრესის ისტორიისათვის

დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ ცოტა ხანის წინ, გაზეთი, ტელევიზიასთან ერთად, წარმოადგენდა ინფორმაციის ძირითად საშუალებას და საზოგადოების ინტერესი პრესის მიმართ ძალან მაღალი იყო. ხოლო უფრო ადრე, დაახლოებით სამი საუკუნის განმავლობაში, პრესა იყო სიახლეების გაცნობის ერთადერთი საშუალება

ქართული გაზეთის ბეჭვდას ორასი წლის ისტორია აქვს . პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 8 მარტს დაიბეჭდა და ეწოდებოდა „ საქართველოს გაზეთი“. ამ თარიღთან დაკავშირები გადავწყვიტეთ მოგვეწოდებინა მოკლე ინფორმაცია ხაშურის რაიონში სხვა და სხვა პერიოდში გამომავალი გაზეთების შე სახებ.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია საქართველოში გამომავალი 350 დასახელების გაზეთის დაახლოებით 20000 ეგზემპლიარი.. მათ შორისაა ხაშურის რაიონში გამომვალი გაზეთებიც.

ხაშურში გაზეთი გამოდის მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან. მანამდე კი ადგილი ჰქონდა ცალკეულ მცდელობას. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში განუზრახავთ საყმაწვილო ალმანახის გამოცემა. ამ ალმანახის გამოცემის იდეა ეკუთვნოდა ზემოჭალის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელს ალექსანდრე ნათაძეს, და ამ საქმეში მას გვერდში ედგა სურამელი ალექსანდრე აბაზაძე. მართალია, ასეთი ალმანახი არ გამოსულა, მაგრამ მისი გამოცემის მცდელობაც კი მნიშვნელოვანი მოვლენაა იმდროინდელი ხაშურისა და სურამის კულტურულ ცხოვრებაში.

1917 წელს გაზეთი „ერთობა“ წერს ---ხაშურის რაიონის სოციალ დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის მორიგ კრებაზე, 26 აპრილს, გადაწყდა ხაშურში პარტიული ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ამ რაიონის ამხანაგები. ჟურნალის გამოცემის შესახებ საბოლოო მოსალაპარაკებლად საოლქო კომიტეტთან არჩეულ იქნა კომისია: ამხანაგები თ. ჭუმბურიძე და ნ.იმნაშვილი, ამასთან გამოითქვა სურვილი საკუთარი სტამბის მოწყობისა ხაშურში.როგორც ირკვევა, იმ პერიოდში ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა არ მოხერხდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1919 წელს გამოვიდა გაზეთი „მუშათა ბიულეტინი“--სულ 4 ნომერი. შემორჩენილია მხოლოდ მეოთხე ნომერი, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი იყო ეგრეთ წოდებული ადგილობრივი გაზეთი, ეს იყო, საბჭოთა პერიოდში გამომავალი რაიონული გაზეთები. ის მოსახლეობას აწვდიდიდა ინფორმაციას რაიონში მიმდინარე სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შესახებ და თითქმის მოიცავდა რაიონის ცხოვრების ყველა სფეროს. დღეს უკვე გაჩნდა ინფორმაციის მღების უფრო ხელმისაწვდომი და მოქნილი საშუალებები.

ადგილობრივი გაზეთი გამოდიოდა 1931 წლიდან სახელწოდებით „ბოლშევიკური საყვირი“, თუმცა, მუზეუმში პირველი წლების გაზეთის ნომრები არ ინახება. ჩვენთან არის გაზეთები 1938 წლიდან, ამჯერად მას „ბოლშევიკური სიტყვა ჰ ქვია, იგი საქრთველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშვიკებისა) ხაშურის რაიკომის და რაიაღმასკომის ექვსდღირიური ორგანოა. გაზეთი იბეჭდებოდა ხაშურში, გაზეთ „ ბოლშევიკური სიტყვის“ სტამბაში. გაზეთში ქვეყნდებოდა ინფორმაცია საბჭოთა კავშირში, რესპუბლიკაში და ძირითადად რაიონში მიმდინარე სიახლეების შესახებ. 1953 წლის 15 თებერვლიდან გაზეთი გამოდის სახელწოდებით--„ გამარჯვების გზით“ . ამასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია იუწყება---„ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს ხაშურის რაიკომისა და ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს--გაზეთ „ ბოლშვიკურ სიტყვას“ დაერქვა „გამარჯვების გზით“. გაზეთის ტირაჟი--2700.

1962 წელს მოხდა ცვლილებები რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაყოფაში, რაც გაზეთის ბედზეც აისახა. 1962წლი 1 მაისიდან გაზეთი გამოდის სახელწოდებით---- ‘გამარჯვება“, ის არის საქართველოს კომუნისტური პარტიის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზეთი გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმო სამმართველოსთან. რედაქტორი შ. მახარობლიძე. გაზეთი იბეჭდებოდა გორის სტამბაში.

1966 წლის 1 იანვრიდან , ხაშურის რაიონის კვლავ ცალკე გამოყოფასთან დაკავშირებით, გაზეთს ეწოდა „გამარჯვების გზა“.

გაზეთი იბეჭდებოდა საქართველოს მთავარპოლიგრაფმრეწველობის ხაშურის სტამბაში. ტირაჟი 4000. რედაქციის მისამართი--ხაშური, ლენინის ქ. 13.

გაზეთი ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1990 წლის 26 მაისამდე, ამის შემდგრ მას ეწოდა „ალიონი“. ამ სახელის მინიჭება ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ გამოიწვია.

„ალიონი“ გამოდიოდა 1992 წლის ბოლომდე. 1993 წლიდან გაზეთს ეწოდება „ხაშურის მოამბე“.

ადგილობრივი გაზეთი რედაქტორები იყვნენ: 1938-1940წწ.--ნ.ნოზაძე, 1941წ--გრიგოლ ცუცქირიძე, 1941—1948, 1960—1961 და 1966—1972წწ--ლევან. კაკიაშვილი, 1962-1966წწ.--შ. მახარობლიძე, 1949-1952წწ--გრიგოლ ცუცქირიძე, 1953—1959წწ--აკაკი ლომიძე, 1973წ--ვასილ მამულაშვილი, 1974—1983წწ--სულიკო ძინძიბაძე, 1984წელი-- ელგუჯა გელაშვილი, 1985—2016წწ--რობერტ სუხიაშვილი, 2016 წლიდან დღემდე --გიორგი გოგალაძე.

გასული საუკუნის 90 იან წლებში, როდესაც იწყებოდა საბჭოთა კავშირის ნგრევა, იატაკქვეშეთში მოქმედი და შემდეგ ე.წ. არაფორმალური გაერთიანებებისათვის ინფორმაციის გასავრცელებლად აუცილებელი გახდა გაზეთების გამოცემა, რადგან ტელევიზიები ჯერ კიდევ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო, დაიწყო სხვადასხვა საშუალებებით ნაბეჭდი ფურცლების გავრცელება, მოგვიანებით გამოვიდა პირველი გაზეთები, მათ შორის ხაშურშიც. მუზეუმში დაცულია იმ პერიოდის მხოლოდ ერთი გაზეთი, ესაა-- „ილიას სამრეკლო“ რომელიც იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების ხაშურის ფილიალის და ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ხაშურის რეგიონალური კომიტეტის არაპერიოდული გაზეთი. გაზეთი გამოდიოდა 1989 წელს, ჩვენთან ინახება გაზეთის ორი ნომერი. იმ პერიოდში გაზეთის გამოცემა მრავალ სირთულეთან და რისკთან იყო დაკავშირებული.

გაზეთი თემატიკა მთლიანად ანტისაბჭოთა სულისკვეთებისაა, გაზეთს ამზადებდნენ მალხაზ გოგალაძე, აქვსენტი გოგოლაძე, თამაზ ლომიძე, მარინა შერაზადიშვილი, გოგი ელისაშვილი., ალიკო ღონღაძე.

გაზეთის გამოცემა არც თუ იაფი სიამოვნებაა, ამიტომ ყველა შემდგომი მცდელობა გაზეთის გამოცემისა, პირველ რიგშ, ამ პრობლემას აწყდებოდა და ფინანსების არქონის გამო, გაზეთების გამოდიოდა საკმაოდ იშვიათად და მცირე ხნით . გარდა ადგილობრივი გაზეთისა, რომლის გამოცემასაც ხელისუფლება აფინანსებს.

პირველი არაპოლიტიკური გაზეთი, რომელიც ხაშურში გამოვიდა იყო „ ხაშურელი კოოპერატორი“ ეს იყო ყოველკვირეული საინფორმაციო სარეკლამო კომერციული გაზეთი, რომლის პირველი ნომერი 1990 წლის 7 აგვისტოს გამოვიდა, მისი გამომცემლები იყვნენ კოოპერატორთა რაიონული გაერთიანება და კოოპერატივების მუშაკთა პროფრაიკომი. გაზეთის მიზანი იყო რეკლამა გაეწია ხაშურის რაიონში მოქმედი კოოპერატივების საქონლისა და მომსახურებისათვის. იბეჭდებოდა ხაშურის რაიონულ სტამბაში. გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ გოგი გოგოლაძე, დავით წიქარიშვილი, ირინა გოგიტაური, ნინო დალალიშვილი, იუმორის გვერდი მიჰყავდა ანზორ სადაღაშვილს. მაგრამ ამ ფორმატში მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა.

მეორე ნომერს სახელიც შეეცვალა, ეწოდა --„ხაშური“, და შინაარსიც, უფრო ე.წ. „ყვითელი პრესის „ პრინციპებზე აეწყო, რაც იმ დროს ახალი ფორმატი იყო და მხოლოდ ოფიციალურ პრესას მიჩვეული მოსახლეობისათვის საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ასევ გამოიცა გაზეთ „ხაშურის“ ლიტერატურული დამატება__“ლიტერატურული ხაშური“, რომელიც პოეტ გიორგი მეტრეველის შემოქმედებას მიეძღვნა.
გაზეთმა იარსება 1991 წლის მაისამდაე და კიდევ ოთხი ნომერი გამოვიდა.

1992 წელს გამოიცა დამოუკიდებელი ლიტერატურულ პუბლიცისტური გაზეთი „ლამპარი“, პირველი ნომერი გამოვიდა მარტში, სულ გამოიცა 9 ნომერი. გენერალური სპონსორი იყო კოოპერატივი 196 „ცისარტყელა“ რომელსაც ხელმძღვანელობდა პაატა ბარბაქაძე, ასევე გაზეთს ეხმარებოდა კოოპერატივი „ გვირილა“ ხელმძღვანელი კარლო ლაბაძე.

გაზეთის მთავარი რედაქტორი მურად მთვარელიძე. სარედაქციო კოლეგია--- ციცინო ბურნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), მერი ადეიშვილი, შოთა ქურდაძე, გიორგი მეტრეველი, თამაზ ლაცაბიძე, თინათინ მოსიაშვილი, კლარა ელჩიბეგაშვილი,ნანი გაჩეჩილაძე, ეკა ბაქრაძე, გიორგი ლობჟანიძე, თინათინ კოშკაძე (კომერციული დირექტორი), თამარ ბარბაქაძე,მაყვალა შუბითიძე, რუსუდან გოგიტიძე, მაყვალა ხაჩიძე, თამარ ჯობაძე, ლიანა დავითანი (მთავარი სტილისტ გამომცემელი). მხატვარი ალექსანდრე ღონღაძე.

გაზეთი იბეჭდებოდა ხაშურის სტამბაში.

გაზეთი საზოგადოებას აცნობდა ხაშურელი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას.

1997 წელს ხაშურის რაიონის ენციკლოპედიის რედაქციამ გამოსცა ლიტერატურული ალმანახი „ ლიხი“.

ალმანახის რედაქტორი იყო მურად მთვარელიძე, სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: თამაზ ლაცაბიძე, მიხეილ ქავთარია, ლალი ჯაფარაშვილი, მაყვალა ხაჩიძე (პასუხისმგებელი მდივანი), თამარ ბარბაქაძე, კარლო ტაბატაძე, გიორგი მეტრეველი, კლარა ელჩიბეგაშვილი, ციცინო ბურნაძე. მხატვარი- ალიკო ღონღაძე., ალმანახში თავმოყრილი იყო ხაშურელ შმოქმედთა პოეზია, პროზა, თარგმანები და წერილები.

ალმანახის პირველი ნომრის გამოსვლას ულოცავს ხაშურის რაიონის გამგეობა, ქალაქ ხაშურის მერია და მურმან ლებანიძე.

რედაქცია გულითად მადლობას უხდის ყველა იმ პირს , რომელებიც ფინანსურად დაეხმარნენ ალმანახს. ესენი არიან--ანზორ დანელია, ჯემალ ენჯიბაძე, რევაზ ნამგალაძე, ზურაბ გოგოლაძ, ნუკრი სახვაძე, დათო ლაბაძე, ვაჟა ძანაშვილი, სეირან იკაშვილი, ავთანდილ კვახაძე, ავთანდილ ხმალაძე, სოსო გოგოლაძე, ტრისტან შარაშენიძე, ლერი ხვედელიძე, თემურ ლომიძე, მერაბ გელაშვილი, თამაზ გაგნიძე, ჯუმბერ ლომიძე.

სარედაქციო კოლეგია ალმანახის წინათქმაში წერდა,--„ახდა ხაშურის რაიონში მცხოვრებ შემოქმედთა დიდი ხნის ოცნება: ამიერიდან მათ ექნებათ თავისი ჟურნალი.... გვჯერა, რომ ალმანახი „ ლიხი“ იქცევა საყურადღებო ჟურნალად, რომელიც სამზეოზე გამოიტანს არა მარტო ხაშურის რაიონში მცხოვრებ, არამედ არამედ მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებსაც“.

გამოიცა ალმანახის მოლოდ ერთი ნომერი.

2000- 2002 წლებში იბეჭდებოდა ურბნისისა და რუისის ეპარქიის გაზეთი,- „მახვილი მესიისა“, ურბნისისა და რუისის მთავარეპისკოპოსის იობის ლოცვა კურთხევით.

გაზეთის რედაქტორი მარკოზ ნოზაძე. გაზეთი რეგისტრირებულია სრულიად საქართველოს საპატრიარქოს მიერ. გაზეთის რედაქციის მისამართი - დაბა სურამი, ლესელიძის ქუჩა N 8.გაზეთს ფინანსურ დახმარებას უწევდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ასოციაცია „შიდა ქართლი“ და ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკა.

გაზეთი აშუქებს მართლმადიდებლურ რელიგიურ თემებს.

ჩვენთან დაცულია გაზეთის გამოსული ნომრების მხოლოდ მცირე ნაწლი. (თუ ვინმეს შეუძლა დაგვეხმაროს ამ დანაკლისის შევსებაში, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ).

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ძვრებს ასახავს გაზეთი „ცოცხალი“, რომელიც 2003 წლის აპრილიდან 2004 წლის მარტამდე გამოდიოდა, სულ გამოიცა 11 ნომერი.
გამომცემელია ინდმეწარმე ნინო სუხიაშვილი.

რედაქტორი ნინო სუხიაშვილი.

გაზეთი „ცოცხალი“ პოლიტიკური გაზეთია და მასთან თანამშრომლობენ გოგა ხაჩიძე, ხათუნა მუმლაძე, თამაზ ლაცაბიძე, მზია ლობჟანიძე, ნაირა სილაგაძე, ეკა სხირტლაძე, კობა ახალკაცი,ბადრი შერაზადიშვილი, ეკა სეხნიაშვილი.

2005 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე ხაშურში გამოდიოდა თვისუფალი დამოუკიდებელი გაზეთი „ახალი სიტყვა“ გაზეთის დამფუძნებელი-- ნინო ნადირაშვილი. მთავარი რედაქტორი--დარეჯან მეფარიშვილი, რედაქტორის მოადგილე-ირინე გოგიტაური. გაზეთის ჟურნალისტები იყვნენ თეა მეფარიშვილი, ქეთი კაციძე, ირინა გოცირიძე. ფოტორეპორტიორი დავით ღოღობერიძე.

გაზეთი პოლიტიკური იყო. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი.. ფასი 50 თეთრი.

2005 წელს გამოდიოდა გომის საკრებულოს გაზეთი „გომის თემი“, რომლის მხლოდ ორი ნომერი- 5და 6 ინახება ჩვენთან. ეს იყო სულიკო ხეთაგურის პროექტი და მიმოიხილავდა გომის თემში მიმდინარე მოველენებს.

წერილის ფორმატი არ იძლევა საშუალებას უფრო დეტალურად გნვიხილოთ თითოეული გაზეთი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია რაიონის ისტორიის ძალზე საინტერესო სურათის დახატვა. ეს უკვე მომავლის საქმეა.

დავით ჩადუნელი,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წიგნების ფონდის მცველი

იმსჯელეს შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესებაზე

2022 წლის 16 მარტს,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი საზოგადოება „ბილიკის“ აღმასრულებელ დირექტორს მარიკა მჭებრიშვილსა და მისი გუნდის წევრებს შეხვდა შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხებზე სასაუბროდ. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და განათლების რესურსცენტრის

წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა საკრებულოს თავმჯდომარეს შშმ პირთა დასაქმების საკითხებზე ჩატარებული კვლევის შედეგები და სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნეს. იმსჯელეს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების გზებზე და მუდმივი თანამშრომლობით შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.

პროექტს - „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში“ ახორციელებს „საზოგადოება „ბილიკი“ და სლოვაკური ორგანიზაცია TENEN-ET-ი, Slovak Aid-ის ფინანსური მხარდაჭერით.

როგორც შეხვედრაზე გაჟღერდა,პროექტის ფარგლებში ჩატარდა „შშმ პირთა საჭიროებების კვლევა“,რომლის მიზანიც შშმ პირთა პოლიტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, შრომის ბაზარზე არსებული ხელის შემშლელი ბარიერების გამოყოფა იყო. კვლევის საფუძველზე,პროექტის ორგანიზატორებმა შეიმუშავეს 4 ძირითადი რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც ადგილობრივ დონეზე პერსპექტივაში გააუმჯობესებს შშმ პირთა ყოველდღიურ ცხოვრებას და ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მათ ჩართულობას.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები შემდეგია: 1) შშმპ-ის ერთიანი ბაზის შექმნა,რომ მუნიციპალური პროგრამები მაქსიმალურად თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს შშმ პირებისათვის; 2) შშმ პირთა საბჭოების ქმედუნარიანობა, რათა მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი შშმ პირების მაქსიმალური ჩართულობა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 3) სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; 4) გაიწეროს ადგილობრივი მეწარმეობის ხემშემწყობი პროგრამა, რომლის რეალიზებით ხელი შეეწყობა შშმ პირთა ადგილობრივ შრომით ბაზარზე ჩართულობას;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, „საზოგადოება „ბილიკს“ შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის ადვოკატირების კამპანიის მხარდაჭერა და თანამშრომლობა აღუთქვა.

თ. ახალკაცი

„საქართველოს მელიორაცია“, შიდა ქართლში, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს

სოფელ ოსიაურის ტერიტორიაზე წყალგამანაწილებელი არხის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად,ხაშურის მუნიციპალიტეტში,სოფელ ოსიაურის,გომისა და აგარების 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

საირიგაციო სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები მარტის ბოლოს დასრულდება.

რკინიგზელთა პროფკავშირმა რკინიგზელ ქალბატონებს

ფასიანი საჩუქრები გადასცა

საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც დღენიადაგ თავისი წევრების კეთილდღეობაზე თუ შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია არცერთი რკინიგზელი არ დარჩეს ყურადღების გარეშე და მათი თითოეული პრობლემა თუ ტკივილი უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას. ამ დღეებშიც, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კავშირის თავმჯდომარემ გელა გელაშვილმა და ადმინისტრაციის წევრებმა 1500 - მდე რკინიგზელ ქალბატონს მიულოცეს ეს ლამაზი დღესასწაული და ფასიანი საჩუქრებიც გადასცეს. რკინიგზელი ქალბატონები ყოველთვის ავანგარდში იყვნენ და თუ დღეს საქართველოს რკინიგზა წარმატებით ემსახურება ქვეყანას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში, ამაში, რა თქმა უნდა, ამ ქალბატონების დიდი დამსახურებაცაა, - აღნიშნა რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ გელა გელაშვილმა.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7)

1920 წლის დეკემბერში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა კარლ და ლუიზა კაუცკები, რომლებიც 29 დეკემბერს, ბათუმიდან, გემ „ფრანც ფერდინანდით“ გაემგზავრნენ ევროპაში. თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობის დროს რკინიგზის ყველა სადგურში ეწყობოდა შეხვედრები მათთან.

ხაშურში სტუმრებს აუარებელი ხალხი დახვდა დროშებითა და ორკესტრით. მუშათა წარმომადგენლებმა კარლ კაუცკს სიტყვებით მიმართეს. მათ მისალმებას კარლ კაუცკმა ვრცელი სიტყვით უპასუხა.

„თქვენ,– ამბობდა კარლ კაუცკი,– ქართველმა მუშებმა, გამოიჩინეთ თქვენს მოძრაობაში ზოგიერთი თვისებები, რომლებიც თქვენ მიიღეთ მემკვიდრეობით ძველი ფეოდალურ რაინდობისაგან. ფეოდალურ დროს რაინდს ჰქონდა ორი მაღალი თვისება: თავის მტრებთან ბრძოლაში ის ხმარობდა სინდისიერ საშუალებებს და არასოდეს არ სარგებლობდა მოშხამული იარაღით. ის თავის პატიოსნების შემარცხვენლად სთვლიდა დაცემულ მტრის მოკვლას, უაზროთ სისხლის ღვრას. საშინელმა ომმა გამოიწვია საყოველთაო გამხეცება და თვით კულტურულ ქვეყნებშიც კი წაიშალა რაინდობის დადებითი თვისებები და მათი ადგილი დაიკავა უაზრო სისხლის ღვრამ და ქვეყნა ინსტიქტების აღვირახსნილობამ. ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენი მეზობელი ქვეყანა (ორატორი გულისხმობს რუსეთს – თ.ლ) თავის ბრძოლის დროს ხმარობს მხოლოდ არა პატიოსან საშუალებებს, მუხთლობს, თავს ესხმის თავის სუსტ მეზობლებს, მიმართავს სიცრუეს და ღალატს, უაზროდ ღვრის სისხლის მდინარეებს და ჰკლავს დაცემულ მტრებს. თქვენ კი აქ, საქართველოში, საქართველოს მუშებო, შეინარჩუნეთ რაინდული თვისებები, თქვენ არასდროს არ მოგიხმარიათ თავის ბრძოლის დროს მოშხამული იარაღი, ტყუილი და ცილისწამება, მოღალატეობა და სიტყვის გატეხა. თქვენ არ სცემთ წაქცეულ მტერს, თქვენ არ ღვრით უაზროთ სისხლს. თქვენ არ ესხმით თავს უფრო სუსტ მეზობლებს, თქვენ ეძებთ მხოლოდ მშვიდობიანობას და კეთილ ურთიერთობას ყველა მეზობელთან. ძველმა რაინდობამ დაგვიტოვა ჩვენ მემკვიდრეობით ბევრი უარყოფითი თვისებებიც. ბევრი მათგანი თქვენ უკვე მოგისპიათ. ზოგიერთს, როგორც მაგალითად საშუალო საუკუნეთა მსგავს უზომო ხელგაშლილობას, რომელიც ძლიერ გიშლით თქვენ ხელს ეკონომიკურ ცხოვრების მოწესრიგების საქმეში, თქვენ უნდა ებრძოლოთ. რაინდობის დადებითი თვისებით კი, რომლების შესახებ მე ზევით ვილაპარაკე, თქვენ უნდა განავითაროთ და განავითაროთ. ამ მაღალ რაინდულ თვისებებს თქვენ უნდა მისცეთ თქვენი პროლეტარული შინაარსი. რაინდი იბრძოდა თავის იდეალებისთვის, ან თავის სახელისათვის. თქვენ კი უნდა აამოქმედოთ რაინდული თვისებები პროლეტარიატის დიად სოციალურ იდეალების სასარგებლოდ. რაინდი ხმარობდა რაინდულ საშუალებებს მხოლოდ თავის ამხანაგების, რაინდების წინააღმდეგ. როდესაც საქმე ეხებოდა სხვა კლასებს – გლეხობას, ანდა მოქალაქეებს, ის აღარ ხელმძღვანელობდა პატიოსნების მოსაზრებით და მათთან ბრძოლის დროს დასაშვებლად მიაჩნდა ყოველგვარი საშუალებების და ხერხის ხმარება პროლეტარიატმა კი, რაკი ის ემსახურება უმაღლეს საზოგადოებრივ მიზნებს, უნდა უკუაგდოს ეს ფარგლები. მან უნდა იხელმძღვანელოს პატიოსნების მოსაზრებით ყველა სხვა კლასებთან ურთიერთობის დროსაც. ამ გზას ადგიხართ თქვენ, ქართველი მუშები. თქვენი მეთოდები ბრძოლისა – ეს ის მეთოდებია, (რომელსაც) მე ვიცავდი 40 წლის განმავლობაში. ამაში დავრწმუნდი მე თქვენთან ყოფნის დროს. მე დავინახე თქვენი რაინდული თვისებები და თქვენ ჩემთვის ძვირფასი გახდით. მე არსად არ მიგრძვნია თავი ისე კარგად, როგორც თქვენთან. მე ღრმა მწუხარებით მივდივარ, რადგან მიხდება თქვენგან განშორება, მაგრამ მივდივარ იმ სასიხარულო აზრით, რომ მე შევსძლებ თქვენთან დაბრუნებას და იმ დროისათვის თქვენ შესძლებთ კიდევ უფრო განავითაროთ ის რაინდული თვისებები, რომლებიც ქართველ ხალხს აქვთ”.

კარლ კრუცკის სიტყვა „მხურვალე ტაშით და „ვაშას” ძახილით იფარებოდა“. კ. კრუცკის შემდეგ ტრიბუნაზე ადის აკაკი ჩხენკელი, რომელმაც „წარმოთქვა მოკლე, მაგრამ მეტად მგრძნობიარე სიტყვა”. ამ შემთხვევაშიც „სიტყვამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია”.

„ინტერნაციონალის” სიმღერისა და „ვაშას” შეძახილის ფონზე მატარებელი, რომელშიც იმყოფებოდა კარლ კრუცკი, ნელ-ნელა შორდებოდა სადგურ ხაშურს.

ხაშურიდან ქუთაისამდე, თითქმის ყველა სადგურში კარლ კრუცკის ხვდებოდნენ რკინიგზის მუშები. ამ შეხვედრებს „ყველგან ემჩნევა განსაკუთრებული თბილი გრძნობიერება და ინტიმობა”. – აღნიშნულია გაზეთი „ერთობა“.

„მე მახარებს, - ეუბნებოდა მუშებს კარლ კრუცკი, - რომ სოციალისტური მოძრაობა საქართველოში ძლიერია, არა მარტო ცენტრში – დედაქალაქში, არამედ ადგილობრივადაც, რესპუბლიკის ყოველ კუთხეში. თქვენ აქ ჯგუფ – ჯგუფად სცხოვრობთ, თქვენ თითქოს მოწყვეტილი ხართ ქვეყანას, მაგრამ თქვენ მაინც გრძნობთ თქვენ თავს დიდ პროლეტარულ მოძრაობის ნაწილად, წევრებას დიდ პროლეტარულ ოჯახისა. თქვენ მუშაობთ დიდი მომავლისთვის”.

საერთო აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულმა ცნობამ. 2 თებერვალს გაზეთებში გამოქვეყნდა ხაშურიდან გაგზავნილი წერილი:

„ხაშურის თემის ხმოსანთა ყრილობამ, – ნათქვამი იყო საბჭოს თავმჯდომარის სიმონ ბაბლიძის მიერ გაგზავნილ დეპეშაში, – მიიღო რა დეპეშა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული ცნობისა, აღფრთოვანებით ხვდება ამ ისტორიულ აქტს, იზიარებს მთელი ქართველი ერის სიხარულს და უსურვებს მთავრობას ყველა დაბრკოლების გადალახვას.“

1921 წლის 2 თებერვალს, რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შეინმანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს იურიდიული ცნობის გამო, მისალოც წერილში წერდა:

„გავიგე რა გაზეთებიდან შეთანხმების, სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ვისწრაფი, ბატონო მინისტრო, მოგიძღვნათ თქვენ და თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ფრიად გულწრფელი მოლოცვა ამ ამბის გამო.

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, მით უფრო დიდი სიხარულით ეგებება ამ ცნობას, რომ ეს ნიშნავს რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლუციის მეოთხე წელზე მისი ერთ-ერთი საერთაშორისო ლოზუნგის გამარჯვებისა და უარყოფს ანტანტის სახელმწიფოთა მიერ მთლიანი და განუყოფელი შავი რუსეთის აღდგენის იდეისა”.

6 თებერვალს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა პირადად მიულოცეს საქართველოს რესპუბლიკის ცნობა. მათ შორის იყო რსფსრ წარმომადგენელი შეინმანიც.

9, 10 და 11 თებერვლის ხაშურში ამომრჩეველთა რიცხვის დადგენის მიზნით დანიშნული იყო მოქალაქეთა აღწერა.

9 თებერვალს გამოქვეყნდა ქალაქის გამგეობის განცხადება - „ხაშურის მოქალაქეთა საყურადღებოდ”, რომელშიც ნათქვამი იყო: „ხაშურის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეებს პირნათლად მოიხადონ თავიანთი მოვალეობა და ეცადონ, არცერთი მოქალაქე არ იქნას გამორჩენილი სიიდან, რომ ამით, შემდეგში, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდონ თავი და ხელი არ შეუშალონ ქალაქის გამგეობის მიერ დასახული მიზნების განხორციალებას”.

ეს აქცია მარტო მოსახლეობის აღწერას არ ითვალისწინებდა, იმავე მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ „აღწერის ბარათებში დასმულია ისეთი კითხვები, რომლის პასუხიც ჩვენ მოგვცემს საშუალებას ყოველ მხრივ შევისწავლოთ ამა თუ იმ მოქალაქის ვინაობა, წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა დარგის მომსახურებასთან და სწავლა-განათლების მქონე პირებთან გვაქვს საქმე. ერთი სიტყვით, ასეთი აღწერა ჩვენ გვაძლევს უსაჭიროეს ცნობებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალი მუშაობისთვის“.

1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში ქვეყანაში კარგად იგრძნობოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მხრიდან მზადდებოდა საქართველოში შემოსვლა. ამასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობასა და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით იმართებოდა კრებები, მიტინგები.

2 მაისს, ქვიშხეთში, შედგა საზოგადო კრება, რომელსაც 400-მდე კაცი დაესწრო. კრებაზე თანამედროვე მომენტის შესახებ მოსმენილი იქნა ესტატე გაგუას მოხსენება. კრებამ მიიღო მხედველობაში შექმნილი მდგომარეობა და დაადგინა: „ამოუდგეს გვერდში დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას მონაპოვარი დამოუკიდებლობა და თავისუფლება”.

12 ოქტომბერს, იტრიაში მოწვეულმა კრებამ, მოისმინა დამფუძნებელი კრების წევრის გ. ცინცაბაძის მოხსენება, მან „ვრცლად დაასურათა დღევანდელი მომენტი”. იგი „შეეხო საბჭოთა რუსეთს და დაახასიათა იქ მყოფი ბოლშევიკური აგენტების სულისკვეთება და მათი კონტრრევოლუციური პოლიტიკა და მოქმედება, რომელიც მიმართულია დემოკრატიული საქართველოს დასამხობად და მის რევოლუციის მონაპოვართა გასანიავებლად. ზიზღით იხენიებს იმ მაცდურ აგიტატორებს, რომლებიც დაძრწიან სოფლად და ამხედრებენ მდაბიო მასას თავისუფალი საქართველოს წინააღმდეგ თავის სხვადასხვა ეგოისტური მიზნების მისაღწევად”.

ორატორმა ვრცლად ილაპარაკა „...იმპერიალისტურ ქურქში გახვეული რუსეთის ბოლშევიზმის” შესახებ. ამავე დროს მან „...ნათლად დაუხატა მსმენელთ ის ენერგიული ბრძოლა საქართველოს დემოკრატიისა, რომელმაც შეძლება მოგვცა თავი დაგვეღწია იმ კონტრრევოლუციონურ აზვირთებულ ტალღებისთვის, რომელმაც მუხანათურად მახვილი ჩასცა ზურგში რუსეთის დემოკრატიას და დააუძლურა იგი”.

ორატორმა მოუწოდა შეკრებილ საზოგადოებას, რომ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან მჭიდრო კავშირში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ ახალგაზრდა რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

10 ოქტომბერს, გომში, გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზეც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი გ. ცინცაბაძე. მიტინგმა მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „1920 წლის ოქტომბრის 10-ს, მიტინგმა, მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. გ. ცინცაბაძისა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მუშაობის შესახებ, დაადგინა: მიტინგი სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას. მიტინგი სრულიად იზიარებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის პოლიტიკას და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ხალხის და მთელი ქვეყნის დემოკრატიის საკეთილდღეოდ”.

30 ნოემბერს, გომში, კვლავ გაიმართა გომის რაიონის 48 სოფლის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზეც განხილული იქნა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. გამოსული ორატორები ვრცლად ეხებოდნენ მოსალოდნელ საგარეო საფრთხეს. ყრილობაზე წაიკითხეს მოწოდება თავდაცვის ფონდის დაარსებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა მოწოდებას და აღუთქვა მთავრობას ყოველგვარი დახმარება. ყრილობამ აირჩია გომის რაიონის თავდაცვის რაიონული კომისია, რომელშიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები შევიდნენ. სოფლების მიხედვით აირჩიეს დამხმარე კომისიები. რაიონულ კომისიაში შევიდნენ ესვანჯია, ლომიძე, დ. მაჭარაშვილი, მეფარიშვილი, ხარაზიშვილი, გ. ბეშია, ი. მირიანაშვილი.

ქალაქის თვითმმართველობის ინიციატივით, რესპუბლიკის თავდაცვის ადგილობრივი კომიტეტი შეიქმნა სურამშიც. კომიტეტში შევიდნენ სხვადასხვა პარტიების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

18 თებერვალს გომის თემის თავმჯდომერე გაზეთ „ერთობას“ წერდა: „სულიერი განწყობილება კარგია, ხალხი იკრიბება, ფრონტზე წასასვლელად გროვდება”.

მიუხედავად საზოგადოების ასეთი განწყობისა, საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მისგან შორს ჩრდილოეთში, მოსკოვში, კრემლის კულუარებში. სამწუხაროდ, ვერც საქართველოს ხელისუფლება აღმოჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად სათანადო სიმაღლეზე.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- სპეციალისტი გვირჩევს -

მარტის და აპრილის თვეში საფუტკრეში ჩასატარებელი სამუშაოები

ჩვენს რეგიონში მარტის თვე ფუტკის ოჯახისათვის საკმაოდ კრიტიკული თვეა,განსაკუთრებით ამ პერიოდში სჭირდება ყურადღება საკვებზე და სინესტეზე,მარტის თვეში,დამატებითი საკვების მიცემისას, იგი სასურველია თხევადი სახით მივცეთ–სიროფი, ორი წილი შაქარი ერთი წილი წყალი (აუცილებლად ადუღებულ წყალში გახსენით შაქარი), სიროფთან ერთად უკვე შეიძლება ჯერ ნიორის, შემდგომ წიწაკის მიცემაც.

გთავაზობთ ნიორის მომზადების და მიცემის ჩემს მიერ გამოყენებულ

ხერხებს:

1) ნიორის წყალხსნარი მზადდება შემდეგი პროპორციით: 200 გრამ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ ნიორს ვათავსებთ მინის ქილაში და ვასხამთ 500 მლ წყალს. ქილას 24 საათით ვათავსებთ მაცივარში. ვფილტრავთ, შევურევთ თანაბარი რაოდენობით სიროფს, 5 მილიგრამი 1 ლიტრ სიროფზე.

2) 200 გრამ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ ნიორს ვათავსებთ მინის ქილაში და ვასხამთ 100 მლ წყალს. ქილას 24 საათით ვათავსებთ მაცივარში. შემდგომ 300 გრამი თაფლი ერევა მიღებული მასას ფუტკრებს მივცეთ ერთი სუფრის კოვზი რაოდენობით ერთ ფუტკრის ოჯახზე (გადაბრუნებულ პლასმასის თავსახურზე ჩარჩოების თავზე, შეგიძლიათ სკის ფსკერზეც მოათავსოთ).

3) შეგიძლიათ გატარებული ნიორი, გადაბრუნებული პლასმასის თავსახურით, 1 სუფრის კოვზის რაოდენობით, მოათავსოთ სკის ფსკერზე, დროთა განმავლობაში, თქვენ ნახავთ სრულიად გამომშრალ მასას, რომელიც წარმატებით მუშაობს ჭიანჭველების წინააღმდეგ თუ მას მოვათავსებთ სკის ძირზე ან საფარი ტილოს ზემოთ (მე ნიორს ფარდის პატარა ნაჭერში ვათავსებ).

ნიორი გამოიყენება ვაროას, ასკოსფეროზის და ფუტკრის სტიმულაციისათვის, ნიორის წყალხსნარის გამოყენება შეიძლება ფუტკრის ოჯახების შეერთებისას.

ცხარე, წითელი წიწაკის ნაყენის მოსამზადებლად მაკრატლით ან დანით იჭრება 50-60 გრ გამხმარი, წითელი წიწაკა 1სმ-იან ნაჭრებად(ან დაფქვილი სახით), იყრება თერმოსში და ესხმება ერთი ლიტრი მდუღარე წყალი. ნაყენს ვაჩერებთ 24 საათს, შემდგომ ვფილტრავთ, შევურევთ თანაბარი რაოდენობით სიროფს (5 მილიგრამი 1 ლიტრ სიროფზე).

1–ლი აპრილიდან (მაისის 10 რიცხვამდე) სიროფს, 1/1 პროპორციით, ვამზადებ და ფუტკრის ოჯახს კვირაში ერთხელ კას–81–თან ერთად ვაძლევ. ფუტკრის ოჯახების საგაზაფხულო კვებას და მკურნალობას ამით ვამთავრებ.

გთავაზობთ კას–81–ის დამზადების და გამოყენების მეთოდს: კას-81–ს ამზადებენ შემდეგი კომპონენტებისაგან: 1. ვერცხლისფერი აბზინდა, ყვავილობის დროს, რაოდენობა–900გრამი (იჭრება ბოლო აბზინდის ყვავილის დაბლა მხარეს); 2.ვერცხლისფერი აბზინდა ყვავილობამდე–რაოდენობა 50 გრამი (იჭრება მაღლიდან 20-25 სანტიმეტრი). 3. ფიჭვის თირკმელი მტვრის გამოყოფამდე(ჩვენს რეგიონში ეს პერიოდი გრძელდება 15 მარტიდან 1 აპრილამდე) იჭრება წვეროდან 3-4 სანტიმეტრი, აღნიშნულ კომპონენტებს ემატება 10 ლიტრი წყაროს წყალი (არც დაქლორილი და არც ჭის წყალი) და ნელ ცეცხლზე ვადუღებთ 3 საათი , დუღილის შემდგომ რჩება დაახლოებით 6–7 ლიტრი ხსნარი, ხსნარი ჩერდება 10საათი ოთახის ტემპერატურაზე, შემდგომ ყოველ 1 ლიტრ სიროფს(ერთი ერთზე პროპორციით) ემატება 30 მილიგრამი ხსნარი, დარჩენილი ხსნარი მაცივარში ინახება 2-8 , 3–5 დღე (მალფუჭებადია), თუ ხანგრძლივი პერიოდით გინდათ, აუცილებლად საყინულეში შეინახეთ. გაზაფხულზე და თაფლის გამოწურვის შემდგომ, სასურველია ხუთჯერადად მივცეთ ფუტკარს, თითოულ სკას ნახევარი ლიტრი 7 დღის ინტერვალით. კას–81 წარმატებით მუშაობს ვაროაზე და ფუტკრის სტიმულაციისათვის.

ჩემი რჩევაა გამოიყენეთ, რაც შეიძლება მეტი ბიომეთოდები (ინფორმაცია საკმარისია ინტერნეტში) ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგოდ, მოერიდეთ ქიმიურ პრეპარატებს (აუცილებელია ვაროას კონტროლი ივლისის თვეში). არ გამოიყენოთ არცერთი ანტიბიოტიკი (კანონით იკრძალება). მე, 2021 წელს, ბიომეთოდების (ბადიანი ძირები, კას–81) სამამლე ხაფანგი, ჩარჩოს გვერდითი თამასის ზომა 33–34 მილიმეტრამდე დავიყვანე, ყველა დედის გამოცვლა მოვახდინე ივლისის თვეში) გამოყენების შემდგომ, მხოლოდ ერთხელ დეკემბერში ვიხმარე ამიტრაზი (ბიპინი). წარმატებებს გისურვებთ დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონზე–555988778.

გიორგი ჯელაძე, მეფუტკრე სპეციალისტი

რა ეტაპზეა საუკუნის პროექტის მშენებლობა



რიკოთის საუღელტეხილო 51.6 კმ-იანი გზის, ხევი-უბისას 12.2 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში 20 გვირაბი და 38 ხიდი შენდება ხევი-უბისას მონაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოები 28 ხიდსა და 17 გვირაბზე მიმდინარეობს, გაჭრილია 4 გვირაბი, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები უკვე დასრულებულია 3 გვირაბსა და 6 ხიდზე საერთო ჯამში, ამ დროისთვის სამუშაოები 81 ხიდსა და 48 გვირაბზე მიმდინარეობს, საიდანაც გაჭრილია 13 გვირაბი რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა საუკუნის პროექტია, რომელიც ურთულეს გეოგრაფიულ მარშრუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით სრულდება რიკოთის მონაკვეთი,ჩქაროსნული გზის მშენებლობაში ერთგვარი გარდამტეხი პროექტი იქნება,ვინაიდან ამ პროექტის შედეგად,დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მონაკვეთები ერთმანეთს დაუკავშირდება.

მონასტერში წადი, ოფელია, მონასტერში!

შექსპირის დიდებული ტრაგედიის "ჰამლეტის" გმირ ქალს, ოფელიას ჰამლეტისთვის, შემთხვევით, საკუთარი მამის მოკვლა, რომ ეპატიებინა, მონასტერი მაინც არ აცდებოდა. რადგანაც უქონელ ქალს, შუა საუკუნეებში, არავინ ირთავდა-ე.წ. "მაიორატის" გამო(მემკვიდრეობის წესი), რომლის მიხედვით, უძრავი ქონება მთლიანად გადადის უფროსი ვაჟიშვილის, ან გვარში უფროსი მამაკაცის ხელში. ეს ფეოდალური სამართლის დამახასიათებელი ინსტიტუტი შუა საუკუნეებში მოქმედებდა ევროპაში, რომლის მიზანი იყო თავიდან აეცილებინათ მიწის და სხვა ქონების დანაწილება. ამ სამართლის მიხედვით კი, ოფელიას ძმა მიიღებდა მემკვიდრეობას და ოფელიას თავი რომ არ მოეკლა, მონასტერი მაინც არ აცდებოდა.

ბერ-მონაზვნები სოციალურ-რელიგიური ჯგუფია, რომლის წევრები ვალდებულები არიან განუდგნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას. უარი თქვან ქონებაზე, ქორწინებაზე,გაწყვიტონ ნათესაური და სოციალური კავშირები და იცხოვრონ მონასტერში. მათი ეთიკის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ლოცვა და ფიქრი ღმერთზე.

მონაზვნობა ინდოეთში ჩაისახა, ბუდიზმში, მერე გავრცელდა ჩინეთში, იაპონიაში, ტიბეტში და სხვა. ქრისტიანობაში კი მონასტრები III-IV საუკუნეებში გაჩნდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი შუა საუკუნეებში შეიძინა. ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა, როგორც აღვნიშნე, იყო ფეოდალურ მიწათმფლობელობაში,"მაიორატის" პრინციპის არსებობა,რაც აიძულებდა ფეოდალთა უმცროს ვაჟებს მონასტერში წასულიყვნენ,ან მოხეტიალე რაინდობა დაეწყოთ. მით უმეტეს, უმზითვოდ დარჩენილ ქალებს.

მონასტრები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზმს, ყველა მისი წევრი ვალდებული იყო ეშრომა. მანვე ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს ახალი ფუნქციები შეიძინა: ისინი ხსნიდნენ ლაზარეთებს დაჭრილთათვის, გამოისყიდდნენ ტყვედჩავარდნილ რაინდებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევდნენ ბრძოლას ერეტიკულ მოძრაობასთან, იყვნენ პაპების დასაყრდენი და სხვა. ამავე დროს, უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. არაერთი მოაზროვნე, მწერალი და მეცნიერი გამოვიდა მისი წიაღისეულიდან.

მონასტრები საქართველოში იმთავითვე ფეოდალურ-სამეურნეო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა,მათი სიმდიდრის წყარო მაღალი წრეების უხვი შემოწირულობანი(მიწა-წყალი გლეხებითურთ, მოძრავი ქონება და სხვა) ნაყიდი ქონება საკულტო რელიქვიების და ხატების თაყვანისცემით მიღებული შემოსავალი იყო. VIII–IX საუკუნეებიდან ბერ-მონაზვნები უკვე აღარ მუშაობდნენ ფიზიკურად, უფრო გვიან კი დიდ ეკონომიკურ, მორალურ და პოლიტიკურ გავლენას მიაღწიეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ მონასტრებში გაჩაღებული იყო სალიტერატურო სამწიგნობარო და კულტურული მუშაობა. იქმნებოდა და იწერებოდა ორიგინალური და ნათარგმნი სასულიერო ნაშრომები. განსაკუთრებით

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურელთა წარმატება ყოველწლიურ კონკურსში

დიდი ქართველი კლასიკოსის გენიალური ლევან გოთუას დაბადებიდან 117 წლის იუბილე მის საფლავზე აღინიშნა საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიერ.

აქვე ჩატარდა „გმირთა ვარამის" მკითველთა ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ი კონკურსი, რომლის ავტორია საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების განათლების სამსახურის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი ლალი ნაზღაიძე. 2022 წლის ასპარეზობაში მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ თ ა ნ ერთად უფროსი ასაკის ადამიანებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ჩვენდა სასიხარულოდ, ხაშურის გუნდმა მეორე ადგილი აიღო .

სამი მონაწილე გვყავდა ხაშურის გუნდში - მათ შორის ჩოხოსანი, შიდა ქართლის სადროშოს მეთაურის მოადგილე იმედა მეტრეველი, ხაშურის N 7 სკოლის XI კლასის მოსწავლე პაპუნა მაღრაძე და გ. ტაბიძის სახელობის N6 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ თაბუაშვილი.

ტრადიციულად, სამთავროს დედათა მონასტერში, გადახდილ იქნა ლევან გოთუას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

აქვე შედგა საპატიო ჩოხოსნებისთვის სიგელების და ჯილდოების გადაცემის პროცესიც. ლაურეატთა შორის გახლდნენ ბატონები: თენგიზ ურთმელიძე, თემურ ჩალაბაშვილი, ვანო ჯაფარიძე და როსტომ აბაშიძე.

(დასასრული VI გვერდზე)

მონასტერში წადი, ოფელია, მონასტერში!

განთქმული იყო ხანძთის, შატბერდის, ოპიზის, პარხლის, ხახულის და სხვა მონასტრები. არსებობდა ორი აკადემია(გელათი, იყალთო).

მონასტრების ძლიერება ევროპაში მკვეთრად შეირყა რეფორმაციის დროს, ახალი დარტყმა მიაყენა XVIII–XIX საუკუნის რევოლუციებმა. მათ თანდათან დაკარგეს ფუნქციები. ვეღარ თამაშობდნენ დამოუკიდებელ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულის როლს და მათი მოღვაწეობა ანაქრონიზმად იქცა.

ახლა მთავარ სათქმელზე გადავიდეთ. ქვიშხეთიდან 3-4 კმ-ის დაშორებით, მაღალ მთაზე დგას ქვიშხეთელთა მთავარი სალოცავი მთაწმინდის წმინდა გიორგის ეკლესია. ერთმა ქვიშხეთელმა, რომელიც მოულოდნელად რელიგიური გახდა, სალოცავს სახელი შეუცვალა და დავით გარეჯელის სახელი მიანიჭა. მერე დიდი მონდომების შედეგად, იქვე მონასტერი ააშენა. მონასტერი, რისი მონასტერია, თუ ბერი არა ჰყავს. ასე მეგონა, მაგრამ ვცდებოდი ამ თოვლიან, ცივ ზამთარში თურმე იქ ბერი ცხოვრობს და ლოცვაში ატარებს დროს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი წინაპრები მიუვალ ადგილებში მონასტრებს არ აშენებდნენ, ქართული სამონაზვნო ზომიერი მიმართულებით გამოირჩეოდა. მისი მიმდევრები საგანგებოდ არჩევდნენ სამონასტროდ ლაღ, მდიდარი ბუნების, ჯანსაღ კლიმატს, მარგებელ წყალს(ხანძთა, ოპიზა, იშხანი, პარხალი, გელათი, იყალთო და სხვა). ქვიშხეთის მთაწმინდაზე კი მონასტრის აშენება, უბრალოდ უხეში შეცდომაა, რადგან ქვიშხეთში, ზამთარში დიდთოვლობა იცის და მთაწმინდა მიუვალია. მით უმეტეს, რომ ქვიშხეთში ორი მონასტერია, ორი-სამი მონაზვნით.

შინდარის მონასტერში ორჯერ ვიყავი, პირველად ახლობელი მონაზვნის სამძიმარზე. ჩემი ყურადღება ახალგაზრდა მონაზვნებმა მიიქციეს, განსაკუთრებით ერთმა გოგონამ, კუთხეში იჯდა, კითხულობდა და დროდადრო პირჯვარს იწერდა. მერე ჩამოიარა და დიდი მოკრძალებით ეამბორა ხატებს. გოგონა უბრალოდ ლამაზი კი არა, ხორცშესხმული მშვენიერება გახლდათ. მეორეჯერ გარდაცვლილი მონაზვნის საფლავზე მისმა კლასელებმა ყვავილები მიიტანეს. ის მონაზონი ისევ იქ იყო, ეზოს გვიდა. გავესაუბრე, ვკითხე, რამ გაიძულა, რომ აქ ხარ მეთქი,-ღმერთის სიყვარულმაო. რატომღაც მწყაზარ თვალებში სევდა ჩადგომოდა.

ქვიშხეთიდან სამი ახალფაზრდა ბიჭი წავიდა ძამის მონასტერში. ორი დედისერთა იყო. ვფიქრობ, ძალიან კატეგორიული არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ სამივე არა მარტო ოჯახისთვის არიან დაკარგულები, არამედ ქვეყნისთვისაც. მონასტერში წასვლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, ახალგაზრდა ქალ-ვაჟების მიერ საერო ცხოვრების უარყოფა.

ცხოვრებისაგან განდგომა, თუ ცხოვრება მთელი თავისი სიდიადით. ეს საკითხი ჩვენმა ყველაზე დიდმა მოძღვარმა ილია ჭავჭავაძემ დააყენა და მას საუკეთესო ნაწარმოები "განდეგილი" მიუძღვნა, სადაც მშვენიერი მწყემსი ქალის პირით აცხადებს:

"განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის,
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?"

განა ღმერთმა იმისთვის შექმნა ეს ლამაზი ბუნება, რომ ადამიანმა "შეაჩვენოს და აიღოს ხელი?" მწყემსი ქალისთვის დიდად მოსაწონი და ფასეულია ბუნების სიდიადე, აღტაცებით შეჰხარის მას:

"ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი, რა რიგ ტკბილია,
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია!"

და იქვე, განდეგილის საპირისპიროდ, რიტორიკულ კითხვას სვამს:

"ღმერთს რაში უნდა, ამ ყინულებში, ყოფნა კაცისა?" იგივე შეიძლება ვკითხოთ ქვიშხეთის მთაწმინდაზე მცხოვრებ ბერს–ღმერთს რაში უნდა, სოფლიდან 4 კმ-ით დაშორებულ მთაში კაცის ყოფნა? "ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ, სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს(ტურგენევი).

ლოცვა და ღმერთის სიყვარული საერო ცხოვრებაშიც ხომ შეიძლება, თუ ცოდვების მონანიება გინდა, ეზიარე, ან სიბერეში წადი მონასტერში, როგორც ზოგიერთი ქართველი მეფე აკეთებდა. უნდა მივყვეთ დიდი ქართველი მოაზროვნის, ილიას შეგონებას, რომელიც გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის, კიტა აბაშიძის თქმით, "განდეგილი და ცხოვრება მწყემსი ქალის სახით, ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთმანეთს შეაბრძოლა და ბრძოლის ველზე გამარჯვებულად, ცხოვრება გამოიყვანა".

განდეგილობის პრობლემა, ეფუძვნება სათანადო მსოფლმხედველობას, სულის და სხეულის დაპირისპირებას, მაგრამ ისტორიის მსვლელობისას, ასეთი დაპირისპირება დღეს ანაქრონიზმი მგონია, როგორც რაინდობა სერვანტესის ეპოქაში.

ახალგაზრდა ქალ-ვაჟების მონასტერში წასვლით, ვიმეორებ, ისინი დაკარგულები არიან ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის და სხვა. არა მგონია, ღმერთს ეს მოსწონდეს, ის, ხომ სიყვარულის და სიცოცხლის ღმერთია. ასევე ანაქრონიზმად მეჩვენება ფუნქციადაკარგული მონასტრების მშენებლობა. ნუთუ რაიონში ქალთა და მამაკაცთა თითო მონასტერი არ კმარა? ალბათ, ეს "საყმაწვილო სენია" და მალე მოვიხდით. და ბოლოს, გავიხსენოთ "ოთარაანთ ქვრივიდან" ერთი ადგილი, გიორგი დედას ეკითხება:

–ღვთის ხვეწნა ტყუილ-უბრალოა"

–მა, რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემს მეტი დარდი არა აქვს ღმერთს?! ვენაცვალე იმის მადლსა!"

კლიმენტი სუთიაშვილი

რედაქციისგან: წერილში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, ყველა კომპონენტში არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებენ საკრებულოს წევრს, მაყვალა მაისურაძეს დედის,

ზინა ოქრომელიძის გარდაცვალების გამო.

გაზეთის "ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, მაყვალა მაისურაძეს დედის,

ზინა ოქრომელიძის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.